899.962.1(092)
თ-776

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თოფურია მაია

კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა

10.01.01. - ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 2002

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - რევაზ მიშველაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
10.01.01

ოფიციალური ოპონენტები:

1. სიგუა სოსო
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
10. 01. 10

2. კოტორაშვილი დავით
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი
10. 01. 01

14⁰⁰ დისერტაციის დაცვა შედგება 2002 წლის "6" ---------- -- საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (10.01. №5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002 წლის ----------

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი /ნ. ტაბიძე/

-1871-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა</u>. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების სრული, ყოველმხრივი შეფასებისათვის აუცილებელია მწერლის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების შესწავლა. წერილები ნათელს ჰფენს კ. გამსახურდიას შემოქმედებით მისწრაფებებს, ესთეტიკურ მრწამსს, პოეტიკურ პრინციპებს, და რაც, ალბათ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს.

სალიტერატურო არენაზე გამოსვლისთანავე მწერალმა მკვეთრად გამოავლინა თავისი პოზიცია ფილოსოფიურ-ესთეტიკურ თუ სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში. ეროვნული ცნობიერების აღდგენა, ქართული სახელმწიფოს გადარჩენის გზების ძიება, ქართული კულტურის თვისობრივი განახლება - აი, საკითხთა სპექტრი, რომლითაც ინტერესდებოდა კ. გამსახურდია. ამიტომაც მწერლის ლიტერატურულ-კრიტიკული თუ პუბლიცისტური წერილები მუდმივი სამიზნე იყო საბჭოური სალიტერატურო კრიტიკისა. იდეოლოგიური დიქტატურის მარწუხები კ. გამსახურდიას პუბლიცისტურ ნააზრევს უფრო სასტიკად შეეხო, ვიდრე მის მხატვრულ შემოქმედებას.

მწერლის შემოქმედების მკვლევართა (რ. მიშველაძე, ს. სიგუა, თ. კიკაჩეიშვილი, ა. ნიკოლეიშვილი, მ. აბულაძე, მ. ხელაია და სხვათა) მიერ გამოწვლილვითაა გაანალიზებული კ. გამსახურდიას პუბლიცისტურ თუ კრიტიკულ წერილთა უმრავლესობა. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდა მწერლის თეორიული სისტემის წარმომავლობის დადგენისა და კ. გამსახურდიას ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების